სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/230

ქ. თბილისი 29 დეკემბერი 2022 წ.

„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 08 დეკემბრის №01-05-04/181 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის №198/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 13 დეკემბრის №135 ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრის უფროსის 2022 წლის 16 ნოემბრის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის №01-05-02/38 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 08 დეკემბრის №01-05-04/181 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) 26-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ (დანართი №1) იმავე ან ქვედა დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.“;

ბ) 28-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი.“;

გ) 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლიანი ვადის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;“.

2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2022 წლის 15 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი — ი. კუტუბიძე